გადაწყვეტილება

N გ-23-21/243
25/05/2023

243-გ-23-1-4-202305251410

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2022 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2023 წლის 25 მაისის სხდომაზე მოსმენილი იქნა ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსის ნათია დევდარიანის ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის მუხლების შესრულების შესახებ.

კომისიამ 2022 წელს ფაქტური ჯამური შემოსავალის სახით მიიღო 14,880,109
ლარი, რომელიც კატეგორიების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგი სახით:

შემოსავლის კატეგორია	ფაქტიური
რეგულირების საფასური	10,953,196 ₾
რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	3,348,704 ₾
სხვა შემოსავლები	578,209 ₾
სულ შემოსავლები	**14,880,109 ₾**

კომისიის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების „სხვა შემოსავლების“ მუხლი მოიცავს საპროცენტო შემოსავლებს.

კომისიის 2022 წლის ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 12,888,477 ლარი:

ხარჯის კატეგორია	ფაქტიური
შრომის ანაზღაურების ხარჯები	7,244,472 ₾
მედიაწიგნიერების ხარჯები	2,383,315 ₾
მომსახურების ხარჯები	493,712 ₾
კაპიტალური დანახარჯები	379,975 ₾
მივლინების ხარჯები	275,858 ₾
საზოგადოებრივი დამცველი	251,867 ₾
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	198,883 ₾
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	181,870 ₾
რემონტისა და შენახვის ხარჯები	177,913 ₾
დაცვის ხარჯები	146,160 ₾
კომუნალური ხარჯები	109,273 ₾
წარმომადგენლობითი ხარჯები	80,041 ₾
საწვავის ხარჯი	79,284 ₾
კომუნიკაციის ხარჯები	35,004 ₾
საწევრო ხარჯები	24,933 ₾
სხვა ხარჯები	18,633 ₾
საკანცელარიო ხარჯები	7,285 ₾
სულ ხარჯები	**12,088,477 ₾**

ააიპ „მედიააკადემიამ“ (შემდგომში „მედიააკადემია“) 2022 წლის განმავლობაში კომისიისგან მიზნობრივი დაფინანსების სახით მიიღო 1,926,804 ლარი. დამატებით გაეროს ბავშვთა ფონდისგან (UNICEF), პროექტის „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობის“ ფარგლებში გრანტის სახით (სხვა შემოსავლები) მიიღო 36,000 ლარი, რომელიც სრულად გაიხარჯა პროექტის ფარგლებში დაქირავებული პერსონალის შრომის ანაზღაურების მიზნით.

მედიააკადემიის 2022 წლის ფაქტიურმა ხარჯებმა კომისიის მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში შეადგინა 1,926,804 ლარი:

ხარჯის კატეგორია	ფაქტიური
შრომის ანაზღაურება	897,657 ₾
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	954,587 ₾
კაპიტალური დანახარჯები	74,559 ₾
სულ ხარჯები	**1,926,804 ₾**

შესაბამისად ააიპ მედიააკადემიის 2022 წლის ჯამურმა ხარჯებმა (გაეროს ბავშვთა ფონდისგან (UNICEF) დაფინანსებული პროექტის გათვალისწინებით) შეადგინა1,962,804 ლარი.

II. სარეზოლუციო ნაწილი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსის ნათია დევდარიანის ინფორმაცია კომისიის და მედიააკადემიის 2022 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;
2. დამტკიცდეს კომისიის 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულებისმაჩვენებლები:

N	დასახელება	ფაქტიური
1	შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	10,953,196 ₾
2	შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,348,704 ₾
3	სხვა შემოსავლები	578,209 ₾
	სულ შემოსავლები	**14,880,109 ₾**
1	კაპიტალური დანახარჯები	379,975 ₾
2	შრომის ანაზღაურების ხარჯები	7,244,472 ₾
3	მივლინების ხარჯები	275,858 ₾
4	მომსახურების ხარჯები	493,712 ₾
5	ელექტრონული მომსახურების ხარჯები	198,883 ₾
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	181,870 ₾
7	კომუნიკაციის ხარჯები	35,004 ₾
8	კომუნალური ხარჯები	109,273 ₾
9	საკანცელარიო ხარჯები	7,285 ₾
10	დაცვის ხარჯები	146,160 ₾
11	საწვავის ხარჯი	79,284 ₾
12	საწევრო ხარჯები	24,933 ₾
13	რემონტისა და შენახვის ხარჯები	177,913 ₾
14	სხვა ხარჯები	18,633 ₾
15	წარმომადგენლობითი ხარჯები	80,041 ₾
16	საზოგადოებრივი დამცველი	251,867 ₾
17	მედიაწიგნიერება	2,383,315 ₾
17.1	*მედიაწიგნიერების ხარჯები*	456,511 ₾
17.2	*ა(ა)იპ მედიააკადემია*	1,926,804 ₾
	სულ ხარჯები	**12,088,477 ₾**

3. დამტკიცდეს მედიააკადემიის 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები:

N	დასახელება	ფაქტიური
1	კომისიის მიზნობრივი დაფინანსება	1,926,804 ₾
2	სხვა შემოსავლები	36,000 ₾
	სულ შემოსავლები	**1,962,804 ₾**
1	შრომის ანაზღაურება	933,657 ₾
2	ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	954,587 ₾
3	კაპიტალური დანახარჯები	74,559 ₾
	სულ ხარჯები	**1,962,804 ₾**

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს (ნ. დევდარიანი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი